ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2431684

ნომერი: AR1376857

თარიღი : 08.02.2016

გაცემის თარიღი : 16.02.2016

გაცნობის თარიღი : 17.02.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 67 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გრიგოლი სიმსივე პ/ნ 60003004724
- ქუთაისი კ.ლესელიძის ქ. N 26

ნომენკლატურა :

- I კლასი
- შენობა-ნაგებობის ფასადისა და სახურავის სარემონტო და მოპირკეთებითი სამუშაოები, როცა ხდება ფერის ან მასალის ცვლილება
  რეკონსტრუქცია
- შენობა-ნაგებობის ფასადზე მცირე ზომის არქიტექტურული ელემენტების, კონსტრუქციების და ტექნიკური საშუალებების მოწყობა ან დემონტაჟი
  რეკონსტრუქცია
- საჩრდილობლის მოწყობა
  რეკონსტრუქცია

"მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის

24 მარტის #57 დადგენილების 65-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად

გადაწყვეტილება

არსებულ შენობაზე (ფასადისა და ტერასის ნაწილში) I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობის დადასტურების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურში განხილული იქნა თქვენი საკითხი, რომელიც ეხება ქ. თბილისში, სექტორი გლდანი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 67–ში, შპს „უნიფორმა და უსაფრთხოება“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 003/024), არსებულ შენობაზე (ფასადისა და ტერასის ნაწილში) I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელებას.
პასუხად გაცნობებთ, რომ თქვენს მიერ ჩასატარებელი სამუშაოები თავისი მახასიათებლებით განეკუთვნება I კლასის ობიექტს, რომელიც არ საჭიროებს მშენებლობის ნებართვას თუმცა სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას ადასტურებს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახური. საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის N 57 დადგენილების თანახმად სამსახურმა შეამოწმა ელექტრონულად ატვირთული დოკუმენტაციის (მოქ.გრიგოლი სიმსივეს განცხადება,/ თანაგანმცხადებელი ალექსანდრე ქამუშაძე / ამონაწერი საჯარო რეესტრიდან რეგისტრაციის N 882015676482 საკ. კოდით N 01.11.12.003.024; ესკიზური ნახაზები და საპროექტო ფოტომონტაჟი) ქალაქთმშენებლობით , დოკუმენტებთან შესაბამისობა და ადასტურებს ქ. თბილისში, სექტორი გლდანი , ქუჩა ომარ ხიზანიშვილი , N 67–ში, შპს „უნიფორმა და უსაფრთხოება“–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (ნაკვ.N 003/024), არსებულ შენობაზე (ფასადისა და ტერასის ნაწილში) I კლასის სარეკონსტრუქციო სამუშაოების განხორციელების შესაძლებლობას.

აქვე გაცნობებთ, რომ თუ განსახორციელებელი სამუშაოები ეხება შენობა–ნაგებობის მზიდ კონსტრუქციებს,(კონსტრუქტორის გადაწყვეტილების მიხედვით) სამშენებლო სამუშაოების დაწყებამდე უნდა მოიპოვოთ შესაბამისი დასკვნა განსახორციელებელი სამუშაოების უსაფრთხოების შესახებ და დამუშავებული იქნას კონსტრუქციული სქემა,შესაბამისი დეტალიზაციით;

- ზემოაღნიშნული სამუშაოების ჩატარებისას, დამკვეთი ვალდებულია დაიცვას კანონმდებლობით, მათ შორის, სამშენებლო რეგლამენტებით გათვალისწინებული მოთხოვნები და ნორმები.
- სამშენებლო დოკუმენტაციის სისწორეზე პასუხისმგებლობა ეკისრება დამკვეთს და დოკუმენტის შემსრულებელ პირს.
- აქვე განგიმარტავთ, რომ ამ წერილით დადასტურებული სამუშაოების დარღვევით წარმოება გამოიწვევს კანონდებლობით დადგენილ პასუხისმგებლობას.
- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.